

სოციალური მუშაობის დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I და II საფეხურები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

პროექტი

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც **სოციალური მუშაობის I და II საფეხურის** საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებს.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 5 წელი.

სოციალური მუშაობის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს სოციალური მუშაობის საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, სოციალური მუშაობის მიმართულებით პროფესიაში შესვლასა და დასაქმების მხარდაჭერას.

აღნიშნული დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი სოციალური მუშაობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას შეიძენს.

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელს უნდა იცნობდეს პირი, თუ იგი მონაწილეობს სოციალური მუშაობის (ან მასთან დაკავშირებული) საბაკალავრო/სამაგისტრო ან საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შემუშავებაში, განხორციელებასა და განხილვაში.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- აბიტურიენტისთვის, რომელსაც სურს შეისწავლოს სოციალური მუშაობის სფერო. ასევე, სტუდენტისთვის, რომელსაც აინტერესებს რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს სოციალური მუშაობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;

- დამსაქმებლისთვის, რომელსაც სურს სოციალური მუშაობის საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი უნდა დაიცვას ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, სადაც ხორციელდება სოციალური მუშაობის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, ამ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, ასევე, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი ერთგვარი გზამკვლევა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხთან, მათ შორის, სწავლა-სწავლებასთან, შეფასებასა და რესურსებთან მიმართებით. გზამკვლევს სავალდებულო ხასიათი არ აქვს, გარდა დოკუმენტის მე-3, სწავლის შედეგების ნაწილისა. რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობამ შესაძლებელია ხელი შეუშალოს სავალდებულო სტანდარტების შესრულებას.

სოციალური მუშაობის დარგობრივი მახასიათებლის შექმნა განპირობებულია ამ დოკუმენტის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საჭიროებით.

II. სწავლის სფეროს აღწერა

სოციალური მუშაობის საერთაშორისო განსაზღვრება (2014, IASSW, IFSW)

„სოციალური მუშაობა პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესია და აკადემიური დისციპლინაა, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებასა და განვითარებას, ერთიანობას, ადამიანის გაძლიერებასა და თავისუფლებას. სოციალური მუშაობის ამოსავალი პრინციპებია სოციალური სამართლიანობა, ადამიანის უფლებების დაცვა, კოლექტიური პასუხისმგებლობა და მრავალფეროვნების პატივისცემა. სოციალური მუშაობის თეორიების, სოციალური მეცნიერების, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ემპირიული ცოდნის საფუძველზე სოციალური მუშაობის პროცესში მონაწილეობენ ადამიანები და სტრუქტურები, რომლებიც ცდილობენ ცხოვრებისეულ გამოწვევებთან გამკლავებასა და კეთილდღეობის გაზრდას“.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ეროვნული თავისებურებები და რეგულაციები.

საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ ცალსახად არეგულირებს სოციალურ მუშაობას ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის სფეროში, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და ჯანდაცვის სფეროში. სოციალური მუშაობა დაკავშირებულია სხვა სფეროებში სპეციალური ფუნქციების შესრულებასთანაც, რაც აღნიშნული კანონით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, მაგრამ მასში მოცემულ პრინციპებს, უფლებამოსილებებსა და ფუნქციებს ეფუძნება და ბენეფიციარის ინტერესებს ემსახურება.

შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება სოციალური მუშაობის ძირითადი შინაარსი. თუმცა, არსებობს სხვა შესაბამისი სფეროებიც, რომლებიც მიზნობრივ სასწავლო პროგრამებს მიემართება. სოციალურ სფეროში მიღებული განათლება, რომელიც კონკრეტული მიმართულებით უნდა იქნეს გამოყენებული, ითვალისწინებს ფუნქციურ (მაგალითად, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, სპეციალური საჭიროების მქონე, ძალადობის მსხვერპლი, ნარკოდამოკიდებული პირები, მიგრანტები, უსახლკაროები, უკურნებელი სენით დაავადებული, ფსიქიკურად დაავადებული, ბავშვები, მოზარდები და ოჯახები და სხვა მარგინალური ან რისკის ჯგუფები) და სფეროს (მაგალითად, თემზე დაფუძნებული სოციალური მუშაობა, ჯანდაცვის სისტემა, განათლების სისტემა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, ციხეები, თვითდასაქმებული სოციალური მუშაკები) სპეციფიკას. მიზნობრივი სასწავლო პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს რეგიონულ და ადგილობრივ თავისებურებებს, მაგალითად, ახალგაზრდულ მუშაობას, რომელიც ქართულ რეალობაში ერთ-ერთი უახლესი სფეროა. ახალი პროგრამების შემთხვევაში, შესაძლებელია აღწერილ იქნეს სწავლის შედეგების კონკრეტული ერთობლიობა, რომელიც აერთიანებს ზემოხსენებული ცოდნის სფეროების სხვადასხვა სწავლის შედეგს. ამ შემთხვევაში, ყოველ შესაძლო ქვესფეროში მიზნობრივი სწავლება გამოყენების სფეროს გათვალისწინებით ხორციელდება.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები სოციალურ მუშაობაში უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარების ფართო სპექტრს სოციალური მუშაობის პროფესიული ეთიკის, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და გარემოსდაცვით ასპექტებთან მიმართებით და მოიცავს სოციალური მუშაობის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულად გაცნობიერებას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები სოციალურ მუშაობაში უზრუნველყოფს სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებულ სიღრმისეულ და სისტემურ კომპეტენციებს და კვლევის მეთოდების სწავლებას, რაც ნაწილობრივ სადოქტორო პროგრამებზე ჩასაბარებლად მომზადებას ითვალისწინებს.

სოციალური მუშაობის სასწავლო პროგრამების ფარგლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიულ და საველე პრაქტიკას შესაბამისი ზედამხედველობით.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია მახასიათებლების განსაზღვრა არა სასწავლო რესურსებთან, არამედ მოსალოდნელი სწავლის შედეგების მინიმუმთან მიმართებით (დოკუმენტის III ნაწილი). უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ სასწავლო პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს შესაბამის სფეროებში სათანადო კომპეტენციების დაუფლებას. სასწავლო პროგრამის კურსი შესაძლებელია ცოდნის რამდენიმე სფეროს ეხებოდეს. მაგალითად, ფსიქოლოგია, სოციალური პოლიტიკა, სამართალი და სოციოლოგია. იგივე შეიძლება ითქვას ინგლისური ან სხვა უცხოური ენის კურსზეც, რომელიც სოციალური მუშაობის სფეროებთან მიმართებით დამხმარე ხასიათის მატარებელია და ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციას.

სოციალურ მუშაობაში აკადემიური ხარისხის (ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი) მოსაპოვებლად საჭიროა სოციალური მუშაობის მიმართულებით კომპეტენციების მინიმუმ 60%, ხოლო დანარჩენი შესაძლებელია გამოყენების სფეროსთან დაკავშირებული კომპეტენციები ან/და ზოგადი კომპეტენციები იყოს.

III. სწავლის შედეგები

ქვემოთ აღწერილი ცოდნის სფეროები და სწავლის შედეგები ეფუძნება სოციალური მუშაობის შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლს.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს სწავლის შედეგებს, რომელთა მიღწევა სტუდენტს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) სწავლის დამთავრებისას. აღნიშნული სწავლის შედეგები ემატება სწავლის შედეგებს, რომელთა მიღწევას, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკიდან და საქართველოში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად მოითხოვს განმახორციელებლების სასწავლო გეგმები (განურჩევლად იმისა, სწავლის შედეგები პროგრამას უკავშირდება თუ საგანს).

3.1. სოციალური მუშაობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

- აცნობიერებს სოციალური მუშაობის ზოგად სამეცნიერო საფუძვლებს, ისტორიას, სოციალურ, ორგანიზაციულ და პროფესიულ საფუძვლებს დამოუკიდებლად და ერთმანეთთან ინტეგრაციაში;
- აცნობიერებს და ახდენს ყოველდღიური მუშაობის ფარგლებში კვლევის შედეგად მიღებული მტკიცებულებების პრაქტიკაში გამოყენებას;
- ადარებს და კრიტიკულად აფასებს სოციალური დაცვის სისტემებს, იაზრებს საზოგადოებასა და სოციალურ მუშაობაში ადვოკატობის მნიშვნელობას;
- ხსნის და კრიტიკულად განიხილავს სოციალური მუშაობის მნიშვნელოვან თეორიებს, მოდელებს, პრინციპებსა და მეთოდებს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კონტექსტში;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ახორციელებს სოციალურ მუშაობას პროფესიული ეთიკით გათვალისწინებული ნორმებისა და ღირებულებების შესაბამისად;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, იღებს ეთიკურ გადაწყვეტილებებს სოციალური მუშაობის სფეროში არსებული სავალდებულო და სარეკომენდაციო ეთიკური სტანდარტების მიხედვით;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, მომსახურების მიწოდების ყველა ეტაპზე, აფასებს ბენეფიციართა სისტემების (ინდივიდი, ოჯახი, თემი) საჭიროებებს. ამის საფუძველზე გეგმავს და ახორციელებს სოციალურ ინტერვენციას სათანადო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული, სტრატეგიების გამოყენებით. ინტერვენციისას ოპერირებს კრიტიკული ანალიზის, პროფესიული ღირებულებების, ბენეფიციარისა და დაინტერესებული მოსახლეობის უპირატესი ინტერესების საფუძველზე;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებული ეროვნული საკანონმდებლო სისტემის, არსებული პროგრამების და მომსახურებების ფარგლებში კონსულტაციას უწევს ბენეფიციარს და აწესრიგებს საჭირო დოკუმენტაციას მომსახურებებში მის ჩასართავად;
- ხელმძღვანელობს სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებულ და სოციალური მუშაობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეგულაციებითა და საკანონმდებლო ბაზით;
- იცავს ბენეფიციარის სოციალურ უფლებებს;

- მონაწილეობს ღონისძიებების სტრატეგიულ დაგეგმვაში შედეგზე ორიენტირებული მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე, ბენეფიციარის ინტერესების გათვალისწინებით;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, გეგმავს და ახორციელებს თემზე დაფუძნებულ მიზნობრივ და კოორდინირებულ მუშაობას და სექტორებს შორის ღონისძიებებს ბენეფიციართა სისტემების (ინდივიდი, ოჯახი, თემი) საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, გეგმავს და ახორციელებს ბენეფიციარების სისტემებთან (ინდივიდი, ოჯახი, თემი) სოციალური მუშაობის უშუალო პრაქტიკას (მათ შორის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო მუშაობას), ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომების, გამლიერების, ეკოსისტემური პერსპექტივის და სხვა მულტიდისციპლინური თეორიული საფუძვლების შესაბამისად პროფესიულ ღირებულებებზე დაყრდნობით;
- იყენებს კომუნიკაციის შესაბამის საშუალებებსა და ფორმებს (ბავშვებთან, ხანდაზმულებთან, სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან, ფსიქიკურად დაავადებულ პირებთან და სხვ. დაკავშირებული სპეციფიკა). კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ფორმების გათვალისწინებით ახორციელებს სოციალურ მუშაობას ბენეფიციართან;
- იღებს სწავლაზე პირად პასუხისმგებლობას;
- მონაწილეობს ინტერდისციპლინურ გუნდურ მუშაობაში, აღიარებს სხვა ადამიანების წვლილს;
- იცავს ეთიკის ძირითად პრინციპებს, პროფესიულ პასუხისმგებლობასა და მდგრადობას.

3.2. სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

- დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ მუშაობას პროფესიული ეთიკის, ნორმებისა და ღირებულებების გათვალისწინებით;
- იღებს ეთიკურ გადაწყვეტილებებს და აფასებს სხვების გადაწყვეტილებათა ეთიკურობას;

- ახდენს სოციალური მუშაობის სამეცნიერო საფუძვლებისა და სწავლის სფეროს კომპლექსური ცოდნისა და გაცნობიერების დემონსტრირებას, თვისებრივი და რაოდენობრივი სოციალური კვლევის შერჩეული მეთოდების კონსოლიდაციის ჩათვლით;
- სიღრმისეულად იცნობს და კრიტიკულად აანალიზებს სოციალური მუშაობის თეორიებს, მოდელებსა და მეთოდებს და აპირისპირებს მათ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კონტექსტში, თანამედროვე აკადემიური დებატების შესაბამისად;
- სიღრმისეულად აანალიზებს კომუნიკაციის თეორიულ საფუძვლებს, მოდელებსა და მეთოდებს ეფექტიანი მუშაობისათვის როგორც ინდივიდუალურ, ასევე სტრუქტურულ დონეზე;
- მომსახურების მიწოდების ყველა ეტაპზე, დამოუკიდებლად აფასებს ბენეფიციართა სისტემების (ინდივიდი, ოჯახი, თემი) საჭიროებებს, ამის საფუძველზე გეგმავს და ახორციელებს სოციალურ ინტერვენციას სათანადო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგიების გამოყენებით. ინტერვენციისას ოპერირებს კრიტიკული ანალიზის, პროფესიული ღირებულებების, ბენეფიციარისა და დაინტერესებული მოსახლეობის უპირატესი ინტერესების საფუძველზე;
- შეუძლია ბენეფიციართა სისტემებთან (ინდივიდი, ოჯახი, თემი) სოციალური მუშაობის უშუალო პრაქტიკის ყველა ეტაპის დამოუკიდებლად განხორციელება, მათ შორის შეუძლია ბენეფიციართან მუშაობის ეფექტური დასრულება,
- სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებული ეროვნული საკანონმდებლო სისტემის, არსებული პროგრამების და მომსახურებების ფარგლებში დამოუკიდებლად უწევს კონსულტაციას ბენეფიციარს და აწესრიგებს საჭირო დოკუმენტაციას მომსახურებებში მის ჩასართავად;
- გეგმავს და ახორციელებს კვლევას პროფესიული ეთიკის შესაბამისად. ახდენს კვლევითი პროექტის პროფესიულად პრეზენტირებას. სიღრმისეულად განიხილავს სოციალური პოლიტიკის/კეთილდღეობის სისტემის მომსახურებებს, კრიტიკულად აანალიზებს მიმდინარე სოციალურ პროცესებს და პრობლემებს;
- განსაზღვრავს სოციალურ პოლიტიკას, რომელიც ზეგავლენას ახდენს კეთილდღეობაზე, მომსახურების მიწოდებასა და სოციალური

მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობაზე;

- აფასებს სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობას მომსახურებების მიმღებთათვის და ანალიზებს, თუ რა ზეგავლენას ახდენს სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა ამ მომსახურებებით მოსარგებლე პირებზე;
- იაზრებს სოციალურ მუშაობაში ადვოკატობის მნიშვნელობას და ადვოკატობს ბენეფიციარის სოციალურ უფლებებს;
- შედეგზე ორიენტირებული მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე, ბენეფიციარის ინტერესების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად გეგმავს ღონისძიებებს;
- დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს თემზე დაფუძნებულ მიზნობრივ და კოორდინირებულ მუშაობას და სექტორებს შორის ღონისძიებებს ბენეფიციართა სისტემების (ინდივიდი, ოჯახი, თემი) საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად;
- დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს ბენეფიციარების სისტემებთან (ინდივიდი, ოჯახი, თემი) სოციალური მუშაობის უშუალო პრაქტიკას (მათ შორის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო მუშაობას), ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომების, გამლიერების, ეკოსისტემური პერსპექტივის და სხვა მულტიდისციპლინური თეორიული საფუძვლების შესაბამისად პროფესიულ ღირებულებებზე დაყრდნობით;
- ახდენს პროფესიული მეთოდების გამოყენებითა და კონცეფციებზე დაყრდნობით, სოციალური მუშაობის მომსახურების მიწოდებას ბენეფიციარის ინტერესის გათვალისწინებით;
- კრიტიკულად აფასებს საკუთარ პროფესიულ პრაქტიკას თვითრეფლექსიის გამოყენებით და ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე;
- წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით. უზრუნველყოფს პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები დოკუმენტურად ფორმდება, საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება.

სწავლებისა და შეფასების მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს სპეციფიკური მასალის ათვისებასა და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სწავლება-სწავლის მეთოდები და მათი შესაბამისი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები სტუდენტს მისი სწავლის შედეგებისა და დარგობრივ მახასიათებელთან ზოგადი შესაბამისობის დემონსტრირების საშუალებას უნდა აძლევდეს. აღნიშნული უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების მიერ სტუდენტებთან სიღრმისეული უკუკავშირის ვალდებულებასა და შესაძლებლობას, რაც სამომავლოდ საშუალებას მისცემს სტუდენტებს, განსაზღვრონ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების სრულყოფის გზები.

სწავლების, სწავლისა და შეფასების ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები სწავლა-სწავლებისა და შეფასების ყველაზე გავრცელებული ფორმებია, თუმცა სასწავლო პროგრამით შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი და, აგრეთვე, სხვა მეთოდები. ნებისმიერ შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების გადახედვა-განახლებაზე, სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკისა და კომპეტენციების განვითარების მხრივ არსებული მიღწევების გაზიარება/დანერგვის გზით.

სწავლების გავრცელებული მეთოდები მოიცავს (ერთი მხარის მონაწილეობით) ლექციებსა და მეცადინეობებს, მათ შორის, ონლაინრეჟიმში, და ინტერაქტიულ სწავლებას (ორივე მხარის მონაწილეობით), როგორცაა სასწავლო პორტფოლიო, სემინარები, სამუშაო ჯგუფები, პროექტებსა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სწავლების სხვა ფორმები, მაგალითად, შერეული ტიპის მეცადინეობა. სოციალური მუშაობის სასწავლო პროგრამების ფარგლებში დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიულ და საველე პრაქტიკას შესაბამისი ზედამხედველობით.

სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, როგორცაა წიგნების/სახელმძღვანელოების დამოუკიდებლად დამუშავება/განმარტება/ინტერპრეტირება, პრაქტიკული მაგალითები, ზეპირსიტყვიერი პროფესიული ანგარიშის შედგენა, შეკითხვებზე პასუხების მომზადება, წერილობითი დავალებების შესრულება, კვლევითი ნაშრომის დამოუკიდებლად მომზადება ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე, ნაშრომის/პროექტის/თეზისის დამოუკიდებლად მომზადება და სწავლა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გზით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობებს. ეს მიდგომა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში და მის მიერ თეორიის პრაქტიკაში გამოყენებას, რეალური ან რეალურთან მიახლოებული სიტუაციებისა და შემთხვევების ანალიზს. პასიური ჩართულობა სასწავლო პროცესში (როგორცაა, ლექციებზე დასწრება) არასაკმარისია, როგორც სწავლების ძირითადი ან ერთადერთი ფორმა.

სწავლება-სწავლისათვის გამოყენებული ღონისძიებები ერთმანეთს სრულყოფს და კვეთს. სასწავლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია მრავალი განსხვავებული მეთოდით იხელმძღვანელოს. სასწავლო პროგრამის კურსების ფარგლებშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მეთოდების, განსაკუთრებით, თანამშრომლობითი მეთოდების სახესხვაობის გამოყენება, რაც სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში აქტიურად გამოყენებას მოითხოვს.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებიც მრავალგვარია და მოიცავს ზეპირსიტყვიერი ანგარიშის, დებატებში/დისკუსიებში/პროფესიული ხასიათის დისკუსიებში მონაწილეობის, მშობლიურ ან უცხოურ ენაზე ჩატარებული საჯარო პრეზენტაციების, კვლევითი ნაშრომებისა და გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალურ შეფასებასა და თანამშრომლობით მეთოდებსა და ჯგუფურ შეფასებას, აგრეთვე, კრიტიკული და კონსტრუქციული ხასიათის შენიშვნებსა და კომენტარებს სხვა სტუდენტების მიერ მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით.

შეფასებაში, სათანადო შემთხვევებში, რეკომენდებულია გარე გამომცდელების ჩართულობა (მაგალითად, სხვა ფაკულტეტის პროფესორა).

V. დამატებითი ინფორმაცია

სოციალური მუშაობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას შესაძლებელია უზრუნველყოფდეს როგორც შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, ასევე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. სოციალური მუშაობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის მდგრად,

სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებასა და სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებას.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

1. პიტერ შეფერი, დამმობილების პროექტის ექსპერტი, გერმანიის სოციალური მუშაობის დეპარტამენტებისა და სოციალური მუშაობის ფაკულტეტების ორგანო (FBTS) დამმობილების პროექტის ექსპერტი;
2. სალომე ვირკუსი, დამმობილების პროექტის ექსპერტი, ესტონეთის კვალიფიკაციების სამსახური. დამმობილების პროექტის ექსპერტი;
3. მერი კესისასკი, დამმობილების პროექტის ექსპერტი, ტალინის უნივერსიტეტი, მმართველობის სკოლა, სამართალი და საზოგადოება, ესტონეთის მოსახლეობის კვლევის ინსტიტუტი. დამმობილების პროექტის ექსპერტი;
4. შორენა საძაგლიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
5. ანა ფირცხალაშვილი - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
6. ნინო შატბერაშვილი - სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური;
7. იაგო კაჭკაჭიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დაინტერესებული მხარეები

1. მახარე მღებრიშვილი - საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
2. ნინო მიხანაშვილი - ახალგაზრდობის სააგენტო;
3. დეა აბულაძე - ახალგაზრდობის სააგენტო.